

საერთო მონაცემები

ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება საქართველოს ტერიტორიაზე

- გადაზიდვის სავარაუდო წლიური მოცულობა - **73 500 000** ლიტრი;
- გადაზიდვა განხორციელდება 3 საბაზისო წერტილიდან: ძეგვის ნავთობბაზა, ქუთაისის ნავთობბაზა და ბათუმის ნავთობ ტერმინალი;
- ტენდერში მონაწილეობს **4 ლოტი**, განაწილებული გადასაზიდი მანძილების ოპტიმიზაციის მოსაზრებებიდან გამომდინარე, არსებული საბაზისო წერტილების გათვალისწინებით.

ლოტი №1:

ბაზისი - ძეგვის ნავთობბაზა;

გადასაზიდი ნავთობპროდუქტების სავარაუდო საერთო წლიური მოცულობა - 48'800 ათასი ლიტრი.

№	მისამართი	მანძილი საბაზისო წერტილიდან (კმ)	საშუალოდ რეისები თვეში
1	ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქ. მ/ტ.	24	22
2	ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ - ქალაქში შემოსასვლელი.	16	11
3	ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, ელიავას ბაზრობის მ/ტ.	24	17
4	ქ. თბილისი, არმაშენებლის ხეივნისა და მიქელაძის ქ. გადაკვეთაზე.	20	11
5	ქ. თბილისი, კახეთის გზატკ. ორბეგის ხიდან	41	13
6	ქ. თბილისი, კოსტავას 69 - ლაგუნა.	27	21
7	ქ. თბილისი, მარცხენა სანაპირო ბაგრატიონის ხიდის მ/ტ.	26	7
8	ქ. თბილისი, თამარაშვილის და ყაზბეგის კვეთა.	26	24
9	ქ. თბილისი, გელოვანის გამზ. მეღვინეობ-მევენახეობის ინსტ. მ/ტ.	20	10
10	ქ. თბილისი, გლდან-დიდმის შემაერთებელ გზაზე, შეშელიძის 1.	23	10
11	ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ. ცისარტყელას მ/ტ.	24	9
12	ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. სოც-უზრუნველყოფის სამ. მიმდებარედ.	22	5
13	ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. სოც-უზრუნველყოფის სამ. მოპირდაპ.	23	6
14	ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი აეროპორტის გზაზე.	38	10
15	ქ. თბილისი, ორთაჭალაძეს 72-ე სკოლის მ/ტ.	32	21
16	ქ. თბილისი, კროპოტკინისა და წურწუმიას ქ. კვეთა.	31	15
17	ქ. თბილისი, კავახეთის და კალოუზნის ქ. კვეთა.	36	7
18	ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. - ქალაქიდან გასასვლელი.	18	30
19	ქ. რუსთავი, რუსთავის გზატკეცილი მე-20-ე კმ.	60	11

ლოტი №2:

ბაზისი - ქუთაისის ნავთობბაზა და ბათუმის ტერმინალი;
 გადასაზიდი ნავთობპროდუქტების სავარაუდო საერთო წლიური მოცულობა -
9'300 ათასი ლიტრი.

№	მისამართი	მანძილი საბაზისო წერტილიდან (კმ)		საშუალოდ რეისები თვეში
		ბათუმის ტერმინალი	ქუთაისის ნავთობბაზა	
1	ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. 25ა.	5	140	11
2	ქ. ბათუმი, გოგოლის ქ.	5	141	6
3	ქ. ბათუმი, სოფ. ანგისა.	5	146	9
4	ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი	75	98	4
5	ქ. ქობულეთი, მ. აბაშიძის ქ. 14	30	120	4
6	ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ. 185	131	103	5

ლოტი №3:

ბაზისი - ძეგვის ნავთობბაზა, ქუთაისის ნავთობბაზა და ბათუმის ტერმინალი;
 გადასაზიდი ნავთობპროდუქტების სავარაუდო საერთო წლიური მოცულობა -
9'100 ათასი ლიტრი.

№	მისამართი	მანძილი საბაზისო წერტილიდან (კმ)			საშუალოდ რეისები თვეში
		ძეგვის ნავთობბაზა	ბათუმის ტერმინალი	ქუთაისის ნავთობბაზა	
1	ქ. ჭიათურა, მღვიმევის ქ. 4 ბ.	166	216	80	2
2	ქ. ხაშური, სტალინის ქ. 145	128	244	103	6
3	ქ. ბაკურიანი, ბორჯომის ქ.	185	274	180	6
4	ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 2.	80	293		2
5	ქ. ნინოწმინდა, თავისუფლების ქ. 1.	290	408	270	6
6	ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. 2	270	390	250	4
7	კასპის რ-ნი, სოფელი ოკამი	50	240		6
8	მცხეთის რ-ნი, სოფ. მისაქციელი	28	358		4
9	გურჯაანის რ-ნი, სოფ. ჩუმლაყი	165	490		3

ლოტი №4:

ბაზისი - ქუთაისის ნავთობბაზა, ბათუმის ტერმინალი და ძეგვის ნავთობბაზა;
გადასაზიდი ნავთობპროდუქტების სავარაუდო საერთო წლიური მოცულობა -
6'300 ათასი ლიტრი.

№	მისამართი	მანძილი საბაზისო წერტილიდან (კმ)			საშუალოდ რეისები თვეში
		ძეგვის ნავთობბაზა	ბათუმის ტერმინალი	ქუთაისის ნავთობბაზა	
1	ქ. წყალტუბოს, რ-ნი, სოფ. ქვიტირი	227	150	5	4
2	ქ. ამბროლაური, ვაჯა-ფშაველას ქ. 9.	255	240	81	3
3	ქ. ონი, ვახტანგ VI ქ.	281	270	110	6
4	ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ. 10	171	179	38	3
5	ქ. ხონი, ჭანტურიას ქ. 153	240	140	20	3
6	ქ. ქუთაისი, ლ.ასათიანის ქ. 98	208	159	2	5
7	ქ. ქუთაისი, სულხან-საბა	208	157	2	2
8	ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. 27	216	185	42	2

გამარჯვებული კომპანია უნდა ფლობდეს:

- ზემოხსენებული მოცულობების გადატანის შესაძლებლობის მქონე ბენზინმზიდების საკუთარ ავტოპარკს (ჩარჩოიანი ძარებით ლოტისთვის №1, ჩარჩოიანი ძარებით და ნახევრად მისაბმელიანები ლოტებისთვის №2-4). ავტოპარკი უნდა იმყოფებოდეს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში.
- ავტოპარკის სადგომს გათვლილს შესაბამისი ბენზინმზიდების არანაკლებ რაოდენობაზე;
- სახელოსნოს ოპერატიული სარემონტო სამუშაოების საწარმოებლად;
- შტატში მუდმივად არსებულ მექანიკოსებს (არანაკლებ 2 ადამიანი - უნდა წარმოადგინონ დამადასტურებელი საბუთი);
- სწრაფი რეაგირების ჯგუფს მიმდინარე საკითხების და გაუმართაობების ოპერატიულად გადასაჭრელად, აღჭურვილს ყველა საჭირო ხელსაწყოთი და მოწყობილობით (გადამქაჩი ტუმბო, საბუქსირე ტექნიკა და სხვა);
- ყველა ბენზინმზიდს უნდა გააჩნდეს ავზების დაკალიბრების აქტუალური სერტიფიკატი. შესაბამისი ასლები უნდა გადაეს შპს „ლუკოილ-ჯორჯიაში“-ს.

ტენდერის კომერციული შემადგენელი:

- პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთიან ტარიფს ყოველი ბაზისისთვის თითოეული ლოტისთვის;
- ტარიფი წარმოადგენს 1 ლიტრ საწვავის გადაზიდვის ფასს 1 კილომეტრ მანძილზე, გადაზიდვის ფასი ასახული უნდა იყოს ლარებში;
- ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის ვალდებულებების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს საწვავის შეძენის ვალდებულება შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-სგან. საწვავის შეძენის წესისა და ფასის განსაზღვრა მოხდება შეთანხმებით ინდივიდუალურად;
- დიზელის საწვავის ღირებულების ცვლილების შემთხვევაში, ტარიფი შესაძლებელია გადაიხედოს, მაგრამ არაუმეტეს კვარტალში ერთხელ.

გამარჯვებული გადამზიდი კომპანია ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე ვალდებულია წარმოადგინოს გადამზიდის პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის ასლი (ხელშეკრულების მოქმედების სრულ ვადაზე);

გამარჯვებული გადამზიდი კომპანია ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდგომ ვალდებულია:

- 15 დღის განმავლობაში უზრუნველყოს მომსახურე ავტოტრანსპორტის დაზღვევა;
- 30 დღის განმავლობაში უზრუნველყოს ავტოტრანსპორტის GPS სისტემით აღჭურვა (რომელის მონიტორინგიც შესაძლებელი უნდა იყოს დამკვეთის მიერ);
- უზრუნველყოს ბენზინმზიდები სპეციალური მოაჯირებით საწვავის ჩასხმისა დაცლისას ბენზინმზიდზე უსაფრთოდ ასასვლედ და ჩამოსასვლელად;
- ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს ბენზინმზიდების ტექნიკური გამართულობა, საწვავით უზრუნველყოფა და სისუფთავე;
- უზრუნველყოს პერსონალი - ბენზინმზიდის მძღოლები, მექანიკოსები და სხვა პირადი შემადგენლობა ნაპერწკალ არ წარმომქნელი სპეცტანსაცმლით, ასევე ჩაფხუტითა და სადაზღვევო ქამრებით;
- მოახდინოს თანამშრომლების ინსტრუქტირება უსაფრთხოების ტექნიკის შესახებ, უზრუნველყოს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და შრომის უსაფრთხოების დაცვა შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს ობიექტებზე;
- დაიცვას ნავთობპროდუქტების მიღების რეგლამენტი, რომელიც იქნება ნავთობპროდუქტების გადაზიდვის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.